

ბრძანება

021 თებერვალი 2018 წ.

თბილისი

№ 76/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 24 იანვრის №64 ბრძანების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ნ ა ნ ე ბ :

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ომარ მოჰდ აბდულ ქაიუმ- ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე;
2. ვინაიაკ უნნიკრიშნან- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
3. კამრუნ ნაჰარ- ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2018 წლის 30 მარტამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, და თსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. კაპეტივაძეს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი